

# საგზაო

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

საპორტული გაზეთი

პარასკევი 4 მაისი 2001 №80 (1353)

ფასი 50 თეთრი

## ჩაწილული წილი

ჩაატყა თუ არა  
ანაბაჰმე მუნის,  
ფედერაციას არ უნახავს

## ბები მყავდა...



უთხრა  
ვერონიკა  
კრანოტის და  
მადრიდისკენ  
გაიხედა

## ანტილოპა მეორე



გენიკ  
სამაშურიძე



ამისგან მორაგბის  
გარდა რა გამოვიდოდა?!

## ლაბაჰე დიდ ბიჭებს მიუახლოვდა

ქართველმა ჩოგბურთელმა  
ჩემპიონთა რბოლა 2001-ში  
პირველი ქულა ჩაიწერა

# 50000

## ქართული არასპორტის ფასი მერანი — კოლხეთი დაისაჯა



ალექსანდრე ჩივაძე, მერაბ ჟორდანი, ვალერი ჩოლოია...  
საგანგებო კომიტეტი გაფრთხილებს: ჩაწყობა მუდმივად შეწყვეტილია

## მილანი კალაძეს დაეგრძნო

ეს 23 წლის ბიჭი დღეს საუკეთესო  
ქართველი ფეხბურთელია.  
მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს  
ლიგასა და გუნდში თამაშობს.  
სამტრედიელია, იქ გაიზარდა და მერე,  
როგორც ყველა პერსპექტიული ბიჭი,  
თბილისის „დინამოში“ მოხვდა. იშრომა, ოფლი  
ღვარა, მოინდომა და დიდი დავიდარაბის  
შემდეგ კიევის „დინამოში“ გააგრძელა  
კარიერა. უკრაინის ჩემპიონიც არის, თასის  
მფლობელიც, ჩემპიონთა ლიგაში  
ტოლ-სწორად ეთამაშა საქვეყნოდ  
განთქმულ ფეხბურთელებს.  
...2001 წლის იანვარი. კახა კალაძე იტალიაში,  
„მილანში“ გადაბარგდა, ამ სახელოვანი  
კლუბის ძირითად შემადგენლობაში ადგილი  
დაიმკვიდრა და პირველი ქართული  
გვარიც ჩაინერა სერია A-ში. თითქმის  
ხუთი თვეა, კალაძე იტალიაში თამაშობს...  
ინტერვიუ კახა კალაძესთან  
იხილეთ მესამე გვერდზე



ფოტო: ი. სიმონიძე, მ. გუგუშვილი



# მალდინი კალაძე გაათავისუფლა

## ქართველი მსვლელი პარსკვლავებს ეთაბაშება



კახა კალაძის იტალიის „მილანში“ გადასვლის შემდეგ ზოგიერთი ქომაგი გვეკითხება — რატომ უთმობს სამშაბათობით „სარბიელი“ ერთ გვერდს ცალკე იტალიის ჩემპიონატს და მეცხრე გვერდზე გამორჩეულად კახა კალაძეზე რატომ წერს, სხვა ქართველმა ლეგიონერებმა რა დათმავსო? აი, პასუხი: ერთი იმიტომ, რომ კახა კალაძე დღესდღეობით საუკეთესო ქართველი ფეხბურ-

— ყველაფერი კარგადაა, თავს ჩინებულად ვგრძნობ — გვითხრა კახამ — ბრწყინვალე გუნდია, უაპაჩო, „მილანის“ ფეხბურთელობით.  
— არ გაგჭირვებია? როგორ შეეგუე ახალ გუნდს, ქალაქს?  
— ნორმალურად. ისე არ გამჭირვებია, როგორც წარმოძღვრია „მილანის“ ხელმძღვანელებმა იცოდნენ ჩემი შესაძლებლობები და ამიტომაც გადმომიბრუნეს, ჩემს სანაცვლოდ კიევის „დინამოს“ დიდ ფულს ტყუილად არ გადაუხდინენ. არც მე მსურს, ის ავტორიტეტი წავიხდინო, რომელიც იტალიაში მაქვს.  
— იმას თუ ელოდი, ძირითად შემად-

თელია, მეორე — იგი მსოფლიოს უძლიერეს ლიგაში მოთამაშე პირველი ქართველია და მესამეც — „მილანის“ ფეხბურთელია, თანაც იქაც ერთ-ერთი საუკეთესოა. „მილანი“ კი, ყველას მოგეხსენებათ, რა გუნდია არის. მოკლედ, კალაძე იმსახურებს სერია A-ს ყოველი ტურის შემდეგ ცალკე სიტყვას და ჩვენც ამას ამიტომ ვაკეთებთ.

დაახლოებით ოთხი თვეა, რაც გუნდობაში ადგილის დასამკვიდრებლად ლოდინი რომ არ დაგჭირდებოდა?  
— ყველაფერი ერთმანეთს დაემთხვა და „მილანში“ ჩემი ტრანსფერიც ამიტომ იყო ნაუკვათი. „მილანს“ დაცვაში პრობლემები ჰქონდა, რამდენიმე მცველს ტრავმა აწუხებდა, გუნდი თითქმის ყოველ მატჩში ორ-სამ გოლს უშვებდა. აქ რომ ჩამოვედი, ერთი საწვრთნელი მატჩი ვითამაშე, ისიც ერთი ტაიმი, მერე კი ორიოდ დღეში პირდაპირ სერია A-ში მათამაშეს.  
— უძლიერესი ევროპული გუნდების წინააღმდეგ ვითამაშებ. ძირითადად რა სხვაობაა იტალიურ გუნდებს

კახა კალაძე „მილანის“ ფეხბურთელია. ამ ხნის მანძილზე მან უკვე მოასწრო და იტალიელთა პატივისცემა დაიმსახურა. სულ 12-ჯერ ითამაშა სერია A-ში, ორი გოლი გაიტანა და მწვრთნელიც გამოიცვალა. პირველად ალბერტო ძაკერონის ხელში მოირგო კახამ შავ-წითელი მაისურა. ძაკერონი ჩეზარე მალდინიმ შეცვალა, რომელსაც, ჩანს, მეტად მოსწონს ჩვენებურის თამაში. მალდინიმ ჯერ კიდევ ოთხი წლის წინ დაადგა თბილისის „დინამოს“ მაშინდელ მცველს თვალი, როცა იტალიის ნაკრებს თავკაცობდა და თბილისში ჩამოვიდა. უთქვამს კიდევ ადრე ჩეზარე მალდინის, კალაძე უნიჭიერესი ფეხბურთელია და ბედნიერი იქნება ის გუნდი, სადაც ქართველი კიევის „დინამოს“ შემდეგ ითამაშებსო. მერე, ისე მოხდა, კალაძე მალდინის შეგირდი გახდა და მწვრთნელს არც ახლა შეუცვლია აზრი, ამბობს, დიდებული ფეხბურთელიაო.

ეს ყველაფერი იმ ქომაგთათვის, ვისაც უკვირთ, კალაძის თამაშს ცალკე რად გამოარჩევთ, თორემ სხვათათვის ესეც საკმარისი იქნება — ნაიკითხვით ინტერვიუ იტალიის „მილანისა“ და საქართველოს ნაკრებს ფეხბურთელ კახა კალაძესთან, რომელსაც მილანში დაეუკავშირდით

და ვთქვით, „რეალს“ და „ბაიერს“ შორის?  
— ერთი სიტყვით, მივირს ამის თქმა უფრო ალბათ ტაქტიკაშია განსხვავება, სხვა ქვეყნებთან შედარებით, იტალიაში, მგონი, ყველაზე მეტი ძლიერი მწვრთნელია. სულ რაღაც ახალს ეძებენ, აქ ყველაფერი ტაქტიკაზეა აგებული. და კიდევ კლასი. „მილანი“, „რეალი“, „ბაიერნი“, „იუვენტუსი“ და რამდენიმე სხვა გუნდს სხვებზე მაღალი კლასის არიან.  
— სერია A-ში 12-ჯერ ითამაშე ყველაზე მეტად რომელი მატჩი დაგამაზნავდა?  
— ღმერთის წყალობით, ყველაფერი კარგადაა. ვერ თამაშე არ გამოფუჭებია და ჩემით კმაყოფილები არიან. კონკრეტულად კი ვერც ერთ მატჩს გამოვარჩევ ჩემთვის ყველა თამაში მნიშვნელოვანი იყო.  
— ბოლო ტურში „ვერონასთან“, რაც „მილანში“ თამაშობ, ყველაზე დაბალი შეფასება დაიმსახურე, რატომ?  
— არ ვიცი. ეს ჩემთვისაც გასაკვირი იყო. მალდინიც კმაყოფილი დარჩა და დაბალი შეფასება რატომ მივიღე, ვერ გატყვი.

— ძაკერონის შემდეგ მალდინიმ ბერი რამ შეცვალა გუნდში?  
— ბევრიც არაფერი. ერთი ეგაა, რომ ახლა ყველა მატჩს ოთხი მცველით ვითამაშობ, ხან 4-4-2, ხან 4-5-1 არის ჩვენი სქემა. ძაკერონის დროს კი სულ სამი მცველით ვითამაშობდით. ძაკერონი თავდასხმას მეტ ყურადღებას აქცევდა.  
— მალდინიმ ამპლუაც შეგიცვალა — საყრდენ ნახევარმცველად გათამაშებს.  
— ვერ ვიტყვი, ჩემთვის უცხოა საყრდენ ნახევარმცველად თამაში-მეთქი. ამ პოზიციაზე კიევის „დინამოშიც“ მითამაშებ და „მილანშიც“ ძაკერონის დროს. რასაც მწვრთნელი დამავლავს, ვალდებული ვარ, ვაგაკეთო.  
— თავდასხმაში ითამაშეო, რომ ვითხრას?



კახა კალაძე ზინედინ ზიდანს ტოლ-სწორად ეთამაშა

— არა მგონია თავდასხმელად ცხოვრებაში არ მითამაშებ.  
— გოლების გატანას კი მოუხშირე.  
— მალდინი მეტ თავისუფლებას მძლეკს და მეც უფრო თამაშად ვუტყვი.  
— მწვრთნელთან პირისპირ არ გილაპარაკებ?  
— არა, რა საჭიროა? დარწმუნებული ვარ, მალდინი ჩემი თამაშით კმაყოფილია.  
— შეგჩვენოს გარდა „მილანში“ ვისთან მეგობრობ?  
— თითქმის ყველასთან. აქ ძალიან კარგი ბიჭები არიან. პელეგვი, ბიროსოვი, ალბერტინი. შეგჩვენოს, რაღა თქმა უნდა, აღარაფერს ვამბობ. ესენიც ქართველებს ჰგვანან, ხმაური უყვართ. ძალიან მეგობრული გუნდია.  
— მოდინე ვისი გეისმის უკეთ?  
— ვერ გამოვარჩევ. ყველა თავის საქმეს აკეთებს.  
— უძლიერეს ლიგაში თამაშობ. საუკეთესო ფეხბურთელად ვინ მიგაჩნია?  
— შეგჩვენოს, ზიდანი, მალდინი, რუი კოშტა, ვერონი, კრესპო, დავიდსი — რომელი ერთი ვთქვა. სულ ვარსკვლავები არ არიან? ყოველ შაბათ-კვირას მათ ვეთამაშები.  
— ზიდანის მეურვეობა ძალიან გაგჭირდა?

— ფსიქოლოგიურად ვიყავი დაბაბული. ისეთი ფეხბურთელია, წამით თუ უპეტოვალურად დატოვებ, არაფრისგან გოლს ან საგოლე მომენტს გააკეთებს. თანაც ფიზიკურადაც ძლიერია და ძალიან ტექნიკური. ზიდანის პერსონალური მეურვეობა მწვრთნელის დაგვლება იყო და ვიდრე ფეხს ვიტყენდი, მის წინააღმდეგ მგონი, ურიგოდ არ მითამაშებია.  
— ის მართალია „მილანი“ და „ბარსელონი“ შეგჩვენოს და რივალდოს ცვლიან?  
— ტყუილია. შეგჩვენოს აქ ღმერთითაა. მისი გამშვები არავინ არის. ის, ალბათ, წლეულსაც პომპარდორი გახდება.  
— წლეულსაც მოიპოვებს „მილანი“ ჩემპიონთა ლიგის საგზურს?  
— რაღა დავგრძე? მეხუთე ადგილზე ვართ და „პარმას“ სულ სამი ქულით ჩამოვრჩებით. მალდინის მწვრთნელობისას ჩვენი პროგრესი აშკარაა, მისი ხელმძღვანელობით ორჯერ ვითამაშეთ ფრედ, დანარჩენი მატჩები მოვიგეთ. არა მგონია, ლიგაში ვერ მოგვხვდეთ. თუმც ვნახოთ, იტალიის ჩემპიონატია და ყველაფერია მოსალოდნელი.

კომა ინსარაიმი



ხუან სებასტიან ვერონის და ლაციოელების დამარცხებაში ჩვენებურმა ლომის წილი დაიდო



კალაძემ გაიტანა, შეგჩვენოს გაიხარა



# კრიჭაშვილი თაბუი გაკიცხეს

**სამშაბათს** საქართველოს თასის გათამაშების ნახევარფინალის პირველი მატჩები იყო. მცხეთაში „ვიტ ჯორჯია“ ქუთაისის „ტორპედოსთან“ 1:2 დამარცხდა, ხოლო ვაკეში თასის ამჟამინდელმა მფლობელმა „ლოკომოტივმა“ „მერანს“ 2:0 მოუგო.

ორივე თამაშის მსაჯების მიმართ გარკვეული საყვედურები გაისმა. ავტოლელებმა სულაც ლანძღეს და თათხეს კრიჭაშვილი — თამაში ხომ წაგვავებინე და გუნდიც დაგვიშალეო. არც მუქარა დაპყლებია სტუმრებისგან მსაჯს.

სამსაჯო კომიტეტის თავკაცმა ანატოლი მილჩენკომ აღექსანდრე კრიჭაშვილს „მერანის“ წარმომადგენელთა მუქარა არ აკმარა და თავდაცვ გვარიანი ცეცხლი შეუწოთ. ცული მხოლოდ ის იყო, რომ მილჩენკომ მსაჯი ჟურნალისტთა თანდასწრებით გაკიცხა.

გუშინწინ კი ფეხბურთის ფედერაციაში სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის საგანგებო კომისია შეიკრიბა და „ლოკომოტივ“ — „მერანის“ დაპირისპირების ყველა სადავო ეპიზოდი გაარჩია.

„ალექსანდრე კრიჭაშვილს დაშვებულ შეცდომებზე მიუთითეს და განაჩენად საყვედური (უკანასკნელი გაფრთხილებით) გამოუტანეს. მსგავსი შეცდომების გამეორების შემთხვევაში მსაჯი სანგრძლივი დისკვალიფიკაციით დაისჯება“.

ეს კერძო მამინვე გვაცნობეს ფედერაციიდან, მაგრამ ახლა საკითხავია, კრიჭაშვილის გაკიცხვა და საყვედური „მერანს“ საპასუხო შეხვედრაში ორბურთიან ღეფიცის თუ გააბათილებინებს?

დათო დანელია



არჩილ სახვაძე (№6) ჭერაც დინამოელია

# არ მიწდა არმიწია სახვაძე და დინამო უკითხს უმიწნაჲს

„დინამოს“ მარცხენაფლანგულ არჩილ სახვაძეს სურს, აქაურობას რაც შეიძლება მალე გაეცალოს და კარიერა უცხოეთში გააგრძელოს. იგი ახლახან გერმანიაში იყო და წინადადებაც მიიღო მეორე ბუნდესლიგის გუნდ ბილეფელდის „არმინიასგან“.

ჩვენებურმა „არმინიასთან“ ივარჯიშა, ორმხრივ შეხვედრებშიც ითამაშა და გუნდის მთავარ მწვრთნელ ბენო მილომანის მოწონებაც დაიმსახურა.

„არმინია“ მეორე ბუნდესლიგაში მოწინავე პოზიციებზე არ არის, მაგრამ ბილეფელდელი ირწმუნებიან, სამომავლოდ გაცილებით კარგ გუნდს გა-

ვაკეთებთ, პირველ ბუნდესლიგაში გადასვლისთვის ვიბრძობებით და არჩილ სახვაძეც სამაგისოდ გვინდაო.

ბენო მილომანი აჩიკოს თავისთან კიდეც რამდენიმე დღით დატოვებას აპირებდა, მაგრამ სახვაძე შინ გამობრუნდა და გუშინ ივარჯიშა კიდეც „დინამოში“. ერთი სიტყვით, სახვაძე და „დინამო“ არ ჩქარობენ თანხმობა შეუთვალონ „არმინიას“, სადაც ერთ დროს მრისხანე ფორვარდ ბრუნო ლაბადიას გარდა, ბუნდესლიგაში სახელდაგებული სხვა ფეხბურთელებიც თამაშობდნენ.

დავით თაგართილაძე



☎ (231) 717 58

## იყიდება

ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რეაბინიანი სახლის მესამე სართულზე. საცხოვრებელი ფართი 250 მ<sup>2</sup>. დამხმარე ფართი 80 მ<sup>2</sup> პირველ სართულზე.

ირაკლი აბაშიძის პექტუმბ № 4 ლმგაუფეე „სალაოსთან“

ქუთაისში

# რესტორანი მზიანი ღამე



განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული სარისხით  
ღილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე

- \* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
- \* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

კუტუზოვის ქუჩა №3  
(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)

მობრძანდით, გვინდეთ: კმაყოფილი დარჩებით



# ოლირიის ლირიკა

## შინ ნოლი, სტუმრად გოლი

ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი. პირველი მატჩი



### ლიდს იუნაიტედი 0:0 ვალენსია

ლიდსი. «ელანდ როუდი». 36 437 მაყურებელი



მარტინი, მილსი, ფერდინანდი, მატეო, ჰარტი, ბოიერი, ბეტი, დაკური, კიუელი, ვიდუკა, სმიტი  
მწვრთნელი: დევიდ ოლირი

კანისარესი, პელეგრინო, აიალა, კარბონი, ანგლომა, მენდიეტა, ალბელდა, ბარახა, კარუე, ხუან სანჩესი (ზაპოვიჩი 66), კილი გონსალესი (ვისენტი 90)  
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი

გაფრთხილება: ბარახა, კარბონი

### მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია)

13	კარისკენ დარტყმა	8
7	კარში დარტყმა	5
16	ჯარიმა	21
7	კუთხური	8
3	თამაშგარე	1



ვეტერან როსელის ინგლომის კაბუკ პარი კიუელთან გამკლავება უჭირდა

**მეტორ რაულ კუპერმა** გათვალა, რომ „ლიდსი“ პირველივე წუთიდან შეუტევედა და უფრო დაცვაზე მიმართული შემადგენლობა ათამაშა. ამის დასტურია მინდორზე დავიდ აღბეღლდას ყოფნა და სათადარიგოდ გამწვრთნული პაბლო აიმარი. როგორც თამაშის მსვლელობამ აჩვენა, არგენტინელი სპეციალისტი მართალი აღმოჩნდა. მუქლურჯ მანსურებში გამოწვრილი ვალენსიელებს თავიდან გაუჭირდათ, თუმცა პირველი მართლაც სახიფათო მომენტი სწორედ მათ შექმნეს. ახმახმა ნორვეგიელმა იონ კარუემ მარტინელათი გაიხროლა და ნაიჯელ მარტინის ნახტომიც არანაკლებ ეფექტური იყო.

მიეცა თითქოსდა იდეალური შანსი. ესპანელმა რიო ფერდინანდის შეცდომით ისარგებლა და მოუშვა დედად დაარტყა — მარტინის სახეზე დატოვების იმედი ჰქონდა. დარტყმაც დაახლოებით ისეთი გამოდგა, როგორც ჯოვანი ელბერისა წინა დღეს, მაგრამ იქვე კასილიასისგან განსხვავებით, მარტინი არ შეძვდა.

მეორე ტაიმის დასაწყისი „ვალენსიისთვის“ ეგებ კატასტროფითაც გასრულდებოდა. კანისარესმა ორი მეტრიდან დარტყმული მოიგერია, ბურთს კი თითქოს უკვე გადაეკეთა კარის ხაზი, მაგრამ პიერლუიჯი კოლინამ ცენტრის ნაცვლად კუთხურისკენ გაიშვირა ხელი.

ამ ეპიზოდის მთავარი მიზეზი, თა-

მაშის ტემპი ოდნავ დაეცა, ხოლო ლიდსელთა გაუთავებელი შეტევები, რომლებიც გონებაშავილობით მაინცდამაინც არ გამოირჩეოდა, კუპერის აგებულ კლეს ვერ სცდებოდა.

ინგლისელები რომ ვერაფერს გახდნენ, კანისარესმა მათი დახმარება განიზრახა. ესპანელმა მეკარემ სულელურად დატოვა პოსტი, მაგრამ ბოიერმა მოახერხა და ხარისხს მოარტყა.

დარჩენილ დროშიც შეტევები რაღაც ქაოსური ხასიათისა იყო, რაც ცხადია, „ვალენსიას“ აძლევდა ხელს. ბოლოსკენ სტუმრებმა რამდენიმე ხელსაყრელი მომენტიც ვერ გამოიყენეს. ჯერ ალბელდას შეეძლო გატანა, რომელსაც ზაპოვიჩი-კარუს კომბინაციის დასრულება დაევადა, მაგრამ ცოტათი შეფრენდა და საფრთხეც გაქრა. მერე ვისენტეს დარტყმული რიო ფერდინანდმა ცარიელი კარიდან გამოიტანა.


„თამაში ვალენსიაში რომ ჩატარებულიყო, შედეგით სავსებით კმაყოფილი ვიქნებოდი“ — თქვა მატინის შემდეგ დევიდ ოლირიმ. მაგრამ თამაში, როგორც ვიცით, „ელანდ როუდზე“ გამართა და კმაყოფილი კუპერი უნდა იყოს. ის კი ფრთხილობს: „შედეგი შედეგია და კმაყოფილებას მაინცდამაინც ნუ მივეცემით. ინგლისელებსაც ისევე შეუძლიათ „მესტალიაზე“ გოლის გატანა, როგორც ჩვენ. „ლიდსი“ ამბიცოური გუნდია და სახიფათო მომენტებსაც ბლომად ქმნის. ამასთანავე მისი დაცვაც ძალიან კარგადაა ორგანიზებული. ვფიქრობ, დღეს ორივეს გოლების გატანის თანაბარი შანსი გვექონდა“.

ამის პასუხად ოლირიმ განაცხადა: „ცოტა იბდალია რომ გვექონოდა, 2:0 მოვიგებდით. თუმცა ისიც სიმართლეა, რომ ჩვენი შესაძლებლობები შეზღუდულია. ჩემს განკარგულებაში მხოლოდ ორი თავდასხმელი იყო. მაგრამ ისიც ვიცი, რომ სტუმრად გატანა შედეგილია“.

### ბიოგრაფიკი




მატის შემდეგ მარკ ვიდუკა ნირწამხდარი იყო



## უემბლის შენებას რა უნდა? დანახვა და 450 მილიონი გირვანძა



ადამ კროფი



ტონი ბენეტი

**ინგლისელებმა** ყურები გამოგვიჭედეს ძველი „უემბლის“ დანგრევაზე და ახლის აშენებაზე ლაპარაკით. ცალკე პელებ მოაყვინდეს, ლონდონში ჩაიყვანეს და ამ ამბის აღსანიშნავად გორდონ ბენქისისთვის პენალტი გაატანინეს. იქამდე კვირები კიბანო შეიწირეს — როგორ გაბედე და ინგლისის ნაკრებს ბოლო უემბლური მატჩი წააგებინო. აუქციონიც მოაწვევს და ჯერ კიდევ დაუნგრეველი სტადიონის თითოეული სკამი თუ ბალახის ბელტი გაყიდეს. ახლა კი ირკვევა, რომ „უემბლი“ შესაძლოა, აღარც დაანგრეონ. ამის თაობაზე ქვეყნის სპორტის მინისტრმა ტონი ბენქისმა თქვა, პროექტის ჩაგარდნა ინგლისისთვის საერთაშორისო რეპუტაციის შელახვას ნიშნავს.

დაწყებული საქმე ამგვარად იმითომ შემოტრიალდა, რომ ბანკებმა, რომლებმაც პროექტის დაფინანსება საკუთარ თავზე აიღეს, საქმიდან გავიდნენ და პროექტის ავტორები შიშველი ენთუზიაზმის აპარა დატოვეს. ოთხი კვირის წინ „უემბლის“ დირექტორმა როდნი უოლკერმა თქვა, 475 მილიონი გირვანძის შიშვა გვეჭირდება და მუშაობასაც შეუდგებით. გავისხნოთ, რომ „უემბლის“ დანგრევა ჯერ კიდევ ოქტომბერში უნდა დაწყებულიყო, მაგრამ როგორც იყო, ისევე იხე დგას.

საქმის მოთავეებს მთავრობის იმედიც ჰქონდათ და თხოვნითაც მიმართეს, ეგებ, ასე მილიონით მაინც გაგვიმართოთ ხელით, მაგრამ ცივი უარი მიიღეს, ეს გუშინწინ მოხდა.

ისმება კითხვა, რა მოხდა? რამ აიძულა ინვესტორები, ფულის მიცემაზე უარი ეთქვათ? როგორც ამბობენ, ამას ერთადერთი მიზეზი აქვს — პროექტის განხორციელებაში უამრავი მხარეა ჩართული და მათი ინტერესები ერთმანეთს არ ემთხვევა, რაც ქაოსს იწვევს, ეს კი თავის მხრივ ინვესტორთა შიშს. თუნდაც ერთი კონკრეტული საკითხი ავიღოთ — დღემდე კამათობენ, ახალ სტადიონს სჭირდება თუ არა სარბენი ბილიკები.

ამ ფონზე განდგა ახალი კითხვა — სჭირდება კი ინგლისს ახალი სტადიონი? ფეხბურთის ასოციაციის თავმჯდომარე ადამ კროფის სიტყვები, ინგლისის ნაკრებს თამაშში სხვადასხვა ქალაქებში უნდა ჩაატაროსო, ამ კითხვის პასუხად უნდა მივიჩნიოთ.

ესეც ითქვა — რატომ უნდა აშენდეს ახალი სტადიონი მაინცდამაინც ლონდონში? ბირმინგემის ხელისუფლება მზადაა, 150 მილიონი გირვანძა გაიღოს, თუ სტადიონი მათ ქალაქში აშენდება.

აშენება-არაშენება, საკითხავი ეს არის. ისე, პროექტის საბოლოოდ ჩაგარდნა ოცი ათასი სამუშაო ადგილის დაკარგვასაც ნიშნავს და შინაგან საქმეთა მინისტრმა ჯეკ სტროუმ და სათანადო კომისიის თავმჯდომარემ, შემდგომი ნაბიჯების განსაზღვრისას ესეც უნდა გაითვალისწინოს.

### ბიოგრაფიკი

## სარბიელი

### სამუშაოდ ინჰავს

ფურნალისტებს, გამოცდილთა და ახალბედებსაც, გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებლებს და მბეჭდავ-ოპერატორებს.

**მიღება მოხდება შერჩევით**

მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელი“ რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე.

ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14



























# გრესკი ტორნტოში



**დიდი ჰოკეისტი  
კალათბურთის  
დარბაზშიც  
მიღებული კაცია.  
„ტორონტო“ —  
„ნიქსის“ საბლეიოფო  
მატჩის შესვენებისას  
მთელი დარბაზი  
ტაშით ესალმებოდა  
იქ მყოფ უეინ  
გრეცკის, რომელსაც  
ტორონტოელთა  
სათამაშო მაისურა  
გუნდის თილისმამ,  
„რეპტორმა“  
გადასცა. ნომერი, რა  
თქმა უნდა, გრეცკისა  
იყო - 99.**



## ლეგენდები

06 დეკემბერს ქალაქ ბომბეში ოთხ დღეს გასტანს დიდი საზოგადოებრივი ტურნირი, რომელსაც „ლეგენდები“ ჰქვია. წარსულის განთქმული ჩოგბურთელები ერთმანეთს შეეჯიბრებიან და ამონაკებ ფულს საავადმყოფოს დასაარსებლად გაიღებენ. ბომბეში უკვე თავი მოუყრიათ: (ფრანკ ჰეინი, მარცხნიდან) ჯონ ლოიდს, ვიჯეი ამრიტრაუს, ბიორნ ბორგს, როს კეისს; (მსხდომნი, მარცხნიდან) ანანდ ამრიტრაუს, მანსურ ბაპრაამის, ანრი ლეკონტსა და ვილფრედ ვილასს.




## რაი ქალაქის თავზე

ჯულიან სონდერსი, რომელიც ოლიგეტი და როს ტეილორი დიდი ჩაის მსმელი ბიჭები ყოფილან. ოლინდ, რა არის, რომ ჩაის სმა მეტად უცნაურ ადგილებში უყვართ. ეს მეტყველებს ჯეკელები მსოფლიოში პირველები გახლავან, ჩაის დაღვრა რომ მშობლიური ქალაქის თავზე გადაუწყვეტიათ. თან არა მხოლოდ მშობლიური ქალაქის, არამედ ამ 1500 მეტრის სიმაღლეზე გამოვიდნენ საპაერო ბურთის თავზე, გინესის წიგნში მოვსვდებიან, ამბობენ და მოხვდებიან ალბათ.



## რუას სიმშრალე

პოქის ჩრდილოამერიკულ ლიგაში პლეი ოფის კარუსელი მთელი ძალით დატრიალდა. დასავლეთის კონფერენციის ერთ ნახევარფინალში „ლოს ანჯელეს კინგზი“ „კოლორადო ეველანგს“ მასპინძლობდა და 3:2 წააგო. ამიტომ თუა მოწყენილი „კინგზის“ გულშემატკივარი, კინოგარსკვლავი კურტ რასელი. „კინგზის“ უკვე 13-ს აგებს სერიას. „ეველანგის“ მძლავრ გამარჯვებაში კი ლომის წილი უდევს შრავალნაცად შეკარუს, პატრიკ რუასს, რომელმაც ამ შეხვედრაში 21. შაიბა დაიჭირა და საბლეიოფო კარიერაში მეჩვიდმეტედ შეინახა კარი მშრალად.



**სარბიელი**  
საორტული გაზეთი  
გამოცემა 1990 წლის  
28 დეკემბრიდან  
გამოდის საშაბათს,  
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,  
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ შონიძე  
დირექტორი ვიქტორი ოქროშვილი  
რედაქტორი თამაზ მიხრაიული  
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბერიძე  
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კობორაძე  
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი  
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაძე. დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და

ინფორმაციის რედაქცია ვია ახალაძე, ვიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ბიკაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში  
თუზა კაციტაძე ფოტორეპორტორები გურამ დოლონაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბიანიძე, ნათელა გიორგობანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გულუაშვილი, მამუკა გუბულაძე, სვეტა დევიძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, გურამ ხელაშვილი  
გამომცემი ზურაბ ინაშვილი

**რედაქციის მისამართი:**  
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზარი 42, II კორპუსი, IV სართული.  
საზოგადოებრივი მისამართი:  
თბილისი - 79, საზოგადოებრივი ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29  
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge  
ელექტრონული ვებგვერდი <http://www.sarbieli.com.ge>